ხელშეკრულება №8

DAISY e. XPERT საკონტროლო სალარო აპარატის რეგისტრაციიდან მოხსნის, რეგიასტრაციამდელი შემოწმებისა და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის, საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 08/თებერვალი/ 2018 წ.

ერთი მხრივ, შპს **"ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** ს/კ: 406049823 (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმომადგენილი გორის სერვის ცენტრის გაყიდვების მენეჯერის **ნელი ვაშაკიძის** სახით და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს" (ს/კ 418471031) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ნადიბაიძის** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას:

1.1.1 ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის (ს/კ 417883035) სახელზე რეგისტრირებული საკონტროლო სალარო აპარატი (შემდგომში "სსა") "DAISY e. XPERT" საქარხნო ნომრით DY00149673 მოხსნას რეგისტრაციიდან, გაუწიოს რეგისტრაციამდელი შემოწმება და დაარეგისტრიროს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს" (ს/კ 418471031) სახელზე;

1.1.2 თვითმმართველი ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (417882884) სახელზე რეგისტრირებული 2 ცალი საკონტროლო სალარო აპარატი (შემდგომში "სსა") "DAISY e. XPERT" საქარხნო ნომრით DY00031219; DY00030153 მოხსნას რეგისტრაციიდან, გაუწიოს რეგისტრაციამდელი შემოწმება და დაარეგისტრიროს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს" (ს/კ 418471031) სახელზე;

1.1.3 გაუწიოს შემსყიდველის საკუთრებაში არსებულ 3 ცალ საკონტროლო სალარო აპარატს ("DAISY e. XPERT" საქარხნო ნომრით DY00149673, DY00031219; DY00030153), წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურება, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილება. ხოლო შემსყიდველი თავის მხრივ იღებს ვალდებულებას ამ მუხლში აღნიშნული მომსახურების მიღების მიზნით მიმწოდებელს გადაუხადოს ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი;

1.2 შესყიდვის ობიექტის კოდი: **CPV 50311000- საოფისე სააღრიცხვო მანქანების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება.**

2.მომსახურების გაწევის წესი და პირობები

2.1. სსა-ს რეგისტრაციიდან მოხსნა და შემსყიდველ ორგანიზაციაზე ხორციელდება მიმწოდებლის სერვის ცენტრში სსა-ს წარდგენიდან 2 სამუშაო დღეში.

2.2 სსა-ს შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურების ხანგრძლივობა განისაზღვრება მისი რეგისტრაციიდან 1 (ერთი) წლით კერძოდ 2019 წლის 10 თებერვლამდე.

2.3 სსა-ს საგარანტიო პერიოდი აითვლება მისი პირველადი რეგისტრაციის მომენტიდან და სრულდება 3 კალენდარული წლის გასვლისთანავე. საგარანტიო მომსახურება გულისხმობს მიმწოდებლის მხრიდან სსა-ის ნებისმიერი ტექნიკური გაუმართაობის მიზეზების აღმოფხვრას იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი მიმწოდებელს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თითოეულ საანგარიშო თვეზე გადაუხდის ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ სააბონენტო გადასახადს; საგარანტიო მომსახურების ღირებულება გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებაში.

2.4. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის შესაბამის

ვისცენტრში, შესაბამისი კვალიფიკაციის ტექნიკური პერსონალის მიერ. აღნიშნული მომსახურების ისაღებად შემსყიდველი ვალდებულია დაზიანებული სსა მიაწოდოს მიმწოდებელს შესაბამის სერვის ცენტრში; რომელიც თავის მხრივ ვალდებულია განახორციელოს ტექნიკური და საგარანტიო მომსახურება.

2.5. იმ შემთხვევაში, თუ სსა-ის დაზიანება გამოწვეულია შემსყიდველის მხრიდან მომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული წესების არასწორად გამოყენების, ძაბვის ცვალებადობის, სსა-ს შიდა მოწყობილობაში შესვლის მცდელობის, მისი მექანიკური დაზიანების, ფორს მაჟორული შემთხვევის შედეგად, შემსყიდველი კარგავს მიმწოდებლისაგან საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების მიღების მოთხოვნის უფლებამოსილებას;

2.6. ამ მუხლის 2.5. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია განაახლოს სსა-ს საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება, მხოლოდ მისი აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ, რომლის ღირებულებაც განისაზღვრება ცალკე ხელშეკრულებით.

3. მიმწოდებლის უფლებამოსილება

3.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით, ნაწილობრივ ან/და მთლიანად შეუჩეროს ან/და შეუწყვიტოს შემსყიდველს სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურების, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილების მომსახურების გაწევა, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის არ განხორციელდება ხელშეკრულების მე-4-ე მუხლით გათვალისწინებული სააბონენტო გადასახადის დროულად და სრულად გადახდა.

4. მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების წესი

4.1. 1 ერთეული სსა-ს რეგისტრაციიდან მოხსნის (ფისკალური მეხსიერების ბარათის შეცვლა) საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს, ხოლო 1 ერთეული სსა-ს რეგისტრაციამდელი შემოწმების საფასური - 29 ლარს, რომელიც ირიცხება სს „თიბისი ბანკის" ანგარიშზე.

4.1.1 1 ერთეულ სსა-ზე მომსახურების სააბონენტო გადასახადი შეადგენს წლიურად 60 (სამოცი) ლარს დღგ-ის ჩათვლით, რომლის საფასურიც ირიცხება სს „ლიბერთი ბანკის" ანგარიშზე.

4.1.2 1 სსა -ს ნომრით 00149673 მომსახურების საფასური 30 (ოცდაათი) ლარი

4.1.3 ხელშეკრულების ჯამური თანხა შეადგენს 447(ოთხასორმოცდაშვიდი) ლარს;

4.2. შემსყიდველის მიერ მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე წინასწარ ჩარიცხვის გზით;

4.3. იმ შემთხვევაში თუ სსა-ს პირველადი რეგისტრაცია მიმწოდებლის მიერ მოხდება თვის პირველი ნაწილის განმავლობაში (თვის 1 რიცხვიდან 15 რიცხვის ჩათვლით) ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს დაერიცხება მთლიანი სააბონენტო გადასახადი 5 ლარის ოდენობით ერთ სსა-ზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სსა-ს პირველადი რეგისტრაცია მოხდება თვის მეორე ნაწილის განმავლობაში (თვის 16 რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით) ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს დაერიცხება სააბონენტო გადასახადის ნახევარი 2,5 ლარის ოდენობით ერთ სსა-ზე.

5.ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი გაგრძელების და შეწყვეტის პირობები

5.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2.ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

5.2.1. მომწოდებლის მიერ, თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.2.2.შემსყიდველის მიერ, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.2.3.მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

5.3.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 12 მარტამდე.

6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1.წინამდებარე ხელშეკრულებით დაურეგულირებელი საკითხები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

7. დასკვნითი დებულებანი

7.1.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

7.2.წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ან/და ნაწილის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სრულ ბათილობას;

.ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ანახება მხარეებთან.

8.მხარეები და მათი რეკვიზიტები:

8.1. მიმწოდებელი	8.2. შემსყიდველი
შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი" ს/კ: 406049823 **(032) 2 500 111** **http://gsn.com.ge** ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE52LB0113144021146000 სს "თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCGE22, ა/№ GE70TB7114436080100001 ---------- წარმომადგენელი: ნელი ვაშაკიძე	ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს" (ს/კ 418471031) მისამართი ქ. გორი, მშვიდობის გამზ., N12ა ტელ.: 57760 78 20 ---------- დირექტორი - გიორგი ნადიბაიძე

მიღება- ჩაბარების აქტი

ქ. გორი 09/თებერვალი/2018 წ.

ერთი მხრივ, შპს **"ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** ს/კ: 406049823 (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმომადგენილი გორის სერვის ცენტრის გაყიდვების მენეჯერის **ნელი ვაშაკიძის** სახით და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო" (ს/კ 418471031) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ნადიბაიძის** სახით ვაფორმებთ მიღება- ჩაბარებია აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 08 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #8 ხელშეკრულების შესაბამისად ,,მიმწოდებელმა" უზრუნველყო 3(სამი) ერთეული GPRS საკონტროლო სალარო აპარატის (DY00149673; DY00030153; DY00031219) ტექნიკური მომსახურება (გადაფორმება) რომლის ღირებულებამ შეადგინა 447 (ოთხასორმოცდაშვიდი) ლარი.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზია არ გააჩნიათ.

აქტი სწორეა, რაზედაც ხელს ვაწერთ

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი" ს/კ: 406049823 (032) 2 500 111 http://gsn.com.ge ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE52LB0113144021146000 სს "თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCGE22, ა/№ GE70TB7114436080100001 ---------- წარმომადგენელი: ნელი ვაშაკიძე	ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს" (ს/კ 418471031) მისამართი ქ. გორი, მშვიდობის გამზ., N12ა ტელ; 57760 78 20 ---------- დირექტორი - გიორგი ნადიბაიძე